# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 27 მაისი № 1476

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გრიგოლ ზაქარიას ძე, მელანია ივანეს ასული და სოფიო გრიგოლის ასული რომანიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველნი თავიანთის საყვარელის ქალისას ხოლო მეორე დის

ელიკოსას

მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, 27 მაისს, დილის 10 საათზე. (მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი) ქვაშვეთის ეკკლესიაში; წირვის შემდეგ მიცვალებულს დაკრძალავენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—89—1)

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“

მეორე ბიბლიოთეკა-სამკითხველო

გადავიდა ვერის ხიდის ჩასავალზე, ყორღანოვის ქუჩაზე, მებურნუთოვის სახლში, № 1. სამკითხველო ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდის. სამკითხველოში კითხვა შეიძლება უფასოდ. (2—უ. 2)

ტფილისის ქერძო

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

აკადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ა მუღაძე — ყრისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ი. ჲ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10 12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ფედოროვი შინაგანი და საბავშვო —12 ს.

ვ. დ. მარკოვიჩი — სადოსტაქრო— 12½—1½ საათამდე, სამშობიარობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეკთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი —5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოკოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით — 10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხმებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

**ბარონის ქუჩა, № 12** (10—4)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

დიდ აკუთარ სახლში

ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. (10—6—9)

თხზულება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრება.

25 მაისის სხდომა.

25 მაისის სხდომა რწმუნებულთა კრებამ მოანდომა ბანკის გამგეობის მოხსენების განხილვას იმის შესახებ, მოემატოს თუ არა კიდევ წევრი ბანკის დამფასებელ კომისიას, რომ მით დროზე ასწრობდნენ ბანკში მამულების დაგირავების საქმეების დამთავრებას. როგორც წაკითხულ მოხსენებიდან სჩანს, გამგეობას შეჰკითხებია ზედამხედველი კომიტეტი, რა მიზეზებითაა გამოწვეული დამფასებელ კომისიაში საქმეების წარმოების დაგვიანება და რა საშუალება შეიძლება მივიღოთ, რომ ავიცილოთ ეს არა სასურველი მოვლენა ბანკის საქმეებშიო. აგრეთვე, როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, შარშან ოქტომბერში ბანკის 24 რწმუნებულმაც შეიტანა გამგეობაში განცხადება, რომელშიაც თხოულობენ დამფასებელ კომისიის გაძლიერებას. გამგეობა თავის ვრცელს მოხსენებაში, სხვათა შორის, ამბობს, რომ დამფასებელ კომისიაში საქმეების დაგვიანებამ თავი იჩინა ამ რამდენიმე წლის წინად; მიზეზები სხვა და სხვაა, მაგ., კომისის წევრნი თანაბრად არ ინაწილებენ ერთმანეთში შრომას; არა აქვთ წესიერად მოწყობილი დაფასების დროს წევრის გაგზავნის საქმე კავკასიის რომელიმე კუთხეში: საჭიროების დროს ტფილისში არ არის კანონიერი რიცხვი კომისის წევრთა დასაფასებელ აქტების განსახილველად და თვის მოსაზრების შესადგენად; ხშირად აღნიშნულ აქტებში ისეთი თვალ საჩინო შეცდომები გვხვდება, რომ იძულებული ვხდებით—საქმე უკანვე დაუბრუნოთ ხოლმე შესასწორებლად და შესავსებლად. ამას გარდა არ აქვთ წიგნი, სადაც გარკვევით ინიშნებოდეს დრო რომელიმე წევრის დასაფასებლად წასვლა მოსვლისა, ურომლისოდაც შეუძლებელია გვეცოდინოს მართლა საქმისთვის არის წასული დამფასებელი თუ არა. გამგეობა, უჩვენებს რა სხვა მიზეზებსაც, გამოსთქვამს აზრს, რომ ამ მიზეზების თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ დამფასებელ კომისიის მოქმედების მოწესრიგებით და არა მითი, რომ წევრები მოემატოს კომისიას. ამიტომ გამგეობა სცნობს საჭიროდ უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული 24 რწმუნებულის განცხადება კომისიის წევრთა რიცხვის გადიდების შესახებ, მხოლოდ საჭიროდ სთვლის დაევალოს ზედამხედველ კომიტეტს გამგეობასთან ერთად შეიმუშაოს ინსტრუქცია კომისიაში საქმეების წესიერად წარმოების შესახებ, რომელ ინსტრუქციასაც უნდა დაემორჩილოს კომისია თვის თანამდებობის აღსრულების დროს.

ზედამხედველი კომიტეტს დასთანხმებია გამგეობას და დაუდგენია წარუდგინოს განსახილველად რწმუნებულთა კრებას იმ მოსაზრებით, რომ ინსტრუქციის შედგენა მიენდოს ბანკის გამგეობას.

ამ საგნის გამო გამოწვეულმა კამათმა ნაშუადღევის 3 საათამდე გასტანა.

ზოგთ განაცხადეს, რომ ერთი წევრი მოემატოს კომისიასაო.

**ნ. ა. ხუდადოვი.** საკმარისად სცნობს ეხლანდელს რიცხვს კომისიის წევრებისას და აცხადებს, რომ რადგანაც მეტი ხელი მეტს ხარჯს ითხოვს და, გამგეობის მოსაზრებით, ეს საჭირო არაა, დავთანხმდეთ მის მოხსენებაზედაო.

**ა. ნ. ფურცელაძე.** მე გამოცდილებით ვიცი, რომ საკმარისი არ არის საქმისათვის კომისიის ეხლანდელი რიცხვი და საჭიროა ახლავე მიუმატოთ მათ კიდევ მეტი მუშა ხელი, თორემ შემდეგ შეიძლება სანანურადაც გაგვიხდესო; თუ ვნიცობაა აქ წამოთქმული მოსაზრებით კრება ვერ რწმუნდება კომისიის კიდევ ახალი წევრების მიმატების შესახებ, მაშინ კომისია ამოვირჩიოთ, რომელმაც ყოველ მხრით ასწონდასწონოს ეს საქმე და ახლო მომავალში საგანგებო კრებას წარმოუდგინოს თვისი ამ საქმის შესახებ მოხსენებაო.

თავ. **ჩოლოყაშვილს** მეტად მიაჩნია ინსტრუქციის შედგენა, რადგანაც, მისის აზრით, გამგეობას უკვე აქვს ხელში იარაღი —ბანკის წესდება, რომლის ძალითაც მას შეუძლიან ღონისძიება იხმაროს კომისიაში უწესოდ საქმეების წარმოების წინააღმდეგ.

# ფელეტონი

## ჩვეიებური საქმეები.

II

ქუთაისის სააზნაურო და ქალაქის არჩევნების კეთილი დასასრული.—ახალი გაზეთი „არგონავტი“.

ქუთაისის არჩევნები დასრულდა და კარგადაც დასრულდა. როგორც სააზნაურო კრებაზე, ისე ქალაქის თვით-მმართველობისაზე გაიმარჯვა პროგრესიულმა პარტიამ. ამ პარტიამ სააზნაურო კრებაზე იმდენი ძალა გამოიჩინა, რომ მისმა მოწინააღმდეგემ დ. ნიჟარაძემ იარაღი დაჰყარა და აშკარად აღიარა, შარშან შევცდი, რომ ამ პარტიის წინააღმდეგ წავედიო—და შენდობა ითხოვა. ამრიგად იგი ვითომ გულწრფელად შეურიგდა ამ პარტიას, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ მისი შერიგება გულწრფელი იყოს. ბ. ნიჟარაძეს არასოდეს მტკიცე და გამორკვეული ადგილი არ სჭერია საზოგადოებრივ არჩევნებში. იგი ცდილობდა იქითაც და აქეთაც ყოფილიყო და წინააღმდეგ იმ ანდაზისა, რომელიც ამბობს, რომ კაცი ორ სკამს შუა ვერ დაჯდებაო, დიდ-ხანს გვარიანად მტკიცედ იჯდა ქუთაისის მაზრის მარშლის ადგილზე, ორ პარტიას შუა, შარშანდლამდის, როცა იფიქრა, რომ ეს არის პროგრესიულ პარტიას ძალა გამოელია და ეხლა კი აშკარად შემიძლიან მის წინააღმდეგ გამოვიდეო. მაგრამ დამარცხებამ აგრძნობინა, რომ იმისი ფიქრი შემცდარი იყო. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთის მოლვაწის ბოდიშის და შენდობის თხოვნას ძალა აქვს მხოლოდ პირველ შემთხვევამდე, როცა იგი ხელახლავ იგრძნობს თავის ძალას... აქ უადგილო არ იქნება, რომ ერთი მცირე ისტორიული ცნობა მოვიყვანოთ: წინამოადგილეს ბ. დავით ნიჟარაძისას, მის მეგვარე ალმასხან ნიჟარაძეს, სწორედ აგრეთვე ეჭირა თავი ორ პარტიას შუა და ერთ არჩევანზე სწორედ აგრეთვე გამოაამჟღავნა მან თავისი ორპირი მოქმედება...

წრევანდელ ქუთაისის სააზნაურო კრებაზე განხილულ იქმნა საყურადღებო საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ და რა სახით მიიღოს იმერეთმა მონაწილეობა ქართლ-კახეთის აზნაურობასთან ერთად საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების გამო დღესასწაულობაში. თვით კრებამ ეს საგანი არ გადაუწყვეტია და მიანდო ცალკე კომისიას, რომ ეს საკითხი გამოარკვიოს და შეადგინოს მთავრობასთან წარსადგენად მოხსენება, თუ ქუთაისის გუბერნიას რა ისეთი მიუცილებელი საჭიროება აქვს, რომელიც თხოულობს მთავრობის დახმარებას და განკარგულებას.

მოსაწონია იმერეთის აზნაურობის ასეთი გადაწყვეტილობა. რას ევვანება, მართლა, რომ ერმა თავის ასის წლის წარსული ცხოვრება გაითვალისწინოს და მის სახსოვრად მხოლოდ ლხინი გადაიხადოს და ამით მოიხადოს თავისი მოვალეობა. არა, ერი უზრუნველ ფრინველს ვერ დაემსგავსება. მას არ შეუძლია არ დაუფიქრდეს ამ შემთხვევაში თავის მდგომარეობას; არ ასწონოს, თუ რა სჭირს მას კარგი და რა ავი.

ჩვენ, ქართველები, მეტად დაჩვეულნი ვართ ლხინსა, იმდენად, რომ ტირილსაც ლხინად ვაქცევთ ხოლმე, როგორც ეს შეუნიშნავს ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში იტალიელ ლამბერტის.

უეჭველია ლხინს თავის დრო და ადგილი აქვს, მაგრამ ლხინმა საქმე არ უნდა დაგვავიწყოს და საქმეს კი შეადგენს ჩვენის მდგომარეობის გათვალისწინება და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

ჩვენის აზრით, უმთავრეს ჩვენს საჭიროებას შეადგენს სამი შემდეგი საგანი: 1) ერობის შემოღება, 2) სწავლა-განათლების გაძლიერება საზოგადოდ და ქართულის ენის შესწავლის უკეთესად დაყენება კერძოდ და 3) ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას რაც ხელოვნურად ხელს უშლის, იმის თავიდან აცილება...

ქუთაისის ქალაქის არჩევნებიც კარგად გათავდა. აქაც დიდის უმეტესობით ქალაქის თავად ამოირჩიეს დ. ა. ლორთქიფანიძე და მითი დამტკიცდა, რომ ლოლუას პარტია დამხობილია. აქ დ. ნიჟარაძეს მაგიერობას ასრულებდა ექიმი თოფურია, ყოფილი დედა-ბოძი ლოლუას პარტიისა. არ ვიცი, რა

მკურნ. გაბაშვილი აცხადებს—საკმარისია კომისიის ეხლანდელი ძალა საქმისათვის, თუ კომისიის წევრები განთავისუფლებულ იქმნებიან იმ მამულების მართვა-გამგეობისაგან, რომელნიც ბანკს დარჩენია.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ: კრების თავმჯდომარის წინადადების თანახმად, კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა—უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული 24 რწმუნებულის განცხადება დამფასებლების მომატების შესახებ და დაევალოს ბანკის გამგეობას შეადგინოს ინსტრუქცია და გადასცეს დამოუკიდებლად კომისიას სახელმძღვანელოდ საქმეების წარმოებისა და მამულების დაფასების დროს.

26 მაისის სხდომა.

კრებას წარედგინა 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობისა და ბანკის მსახურთა დასაჯილდოვებლად ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია სულ 53.420 მ., აქედან: ზედამხვ. კომიტ. წევრებს—3000 მ., გამგეობის თავჯდომარეს—5400 მ., გამგეობის 3 წევრს—6000 მ., დამფასებელ კომისიის 5 წევრს—8700 მ., უფროს ბუხჰალტერს—2400 მ., ბუხჰალტერიაში 10 მოხელეს—11.580 მ., კასსირს—1800 მ., მდივანს—1720 მ., 10 სხვა მოხელეს—9.060 მ. და სხვა წვრილმანი. შემდეგ—სადგომის ქირაზე, ფოსტის ხარჯზე, განცხადებებზე, ანგარიშების, მოხსენებების და სხვ. ქაღალდების ბეჭდვაზე, ბაქოს სააგენტოზე და სხვა წვრილმანზე ხარჯთ-აღრიცხვა თხოულობს 26.070 მანეთს. დასასრულ, ყოველთვიურს ავანსზე დივიდენდის ანგარიშში გადადებულია 11 378 მან. 48 კაპ. ამ რიგად მთელი ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 90.868 მან 48 კაპ..

კამათი გამოიწვია ბ. გრ. გაბაშვილის განცხადებამ, რომ ხარჯთ-აღრიცხვაში, მისის აზრით, რამდენიმე მუხლი მეტია; სახელდობრ: ბაქოს სააგენტოს მმართველისა და იურისკონსულტის ჯამაგირები; ბანკის წევრთა კრებამ რამდენიმე წლის წინად გამგეობას მეოთხე წევრი მიუმატა იმ მოსაზრებით, რომ მე 4 წევრს ეკისრნა ბაქოს სააგენტოს მმართველობა და საზოგადოდ გამგეობის 4 წევრს განეწილებინათ შრომა იურისკონსულტისა და სხვაცაო. გარდა ამისა,

თავ. ა. ჩოლოყაშვილმა განაცხადა, რომ ხარჯთ-აღრიცხვაში მეტია დივიდენდი გამგეობისა და დამფასებელ კომ. წევრთა კანდიდატების დასაჯილდოვებლადო. უმნიშვნელო კამათის შემდეგ რწმუნებულთა კრებამ უცვლელად დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა.

შემდეგ კრებას წარედგინა მოხსენება საზოგადო საჭიროებათა თანხის განაწილების შესახებ. როგორც აღნიშნული გვქონდა, ბანკის გამგეობამ საჭიროდ დაინახა 72,813 მან. 6 კ. სკოლის კომიტეტისათვის გადაცემა, ისე რომ ამ ფულებიდან კომიტეტს 63,710 მან. სკოლისათვის მოეხმარებინა, ხოლო 9103 მან. 6 კაპ. სკოლის ახალშენობის ასაგებად. ზედამხედველი კომიტეტი ასეთ განაწილებას არ დასთანხმებია და დაუდგენია: 1000 მან. დრამატიულ საზოგადოებას მისცემოდა, ხოლო დანარჩენი სკოლის კომიტეტს: სკოლისათვის 63.710 მ. და შენობისათვის 8103 მ. 65 კაპ.

ბ გრ. გაბაშვილი. ჩემის აზრით, დრამატიულს საზოგადოებას ეყოფა აქამდე რაც შემწეობა ეძლეოდა; თუმც სულითა და გულით თანავუგრძნობ მის წარმატებას, მაგრამ რა ვქნათ, რომ ეხლა უფრო მეტი საჭიროება გამოგვიჩნდა; ჩვენი სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის მზადდება მეტად მშვენიერი შენობა და ჩვენ უნდა ყოველივე ღონე ვიხმაროთ და მთელი ჩვენი ძალა იქით იქმნეს მიმართული. ამიტომ გამგეობის დადგენილება ამ ფულების განაწილების შესახებ აუცილებლად უნდა იქმნეს დამტკიცებული.

ბ. ხმარაძე(?). ეს როგორ შეიძლება? მაშ უნდა მოისპოს დრამატიული საზოგადოება?!.

თავ. მიქელაძე. ბ-ნი გაბაშვილი მართალს ლაპარაკობს, რომ მთელი ჩვენი ყურადღება ჩვენი მომავალი მეცნიერების ტაძრისკენ უნდა იქნეს მიმართული, მაგრამ თითონ გასინჯეთ საქმე: ერთად ერთი დაწესებულება გვაქვს, სადაც ქართული ხმა გაისმის; ეს ქართული თეატრია, რომელიც უკვე არსებობს და როგორ შეიძლება უკვე გაკეთებული საქმე დავანგრიოთ. თეატრი სეირის და სიამოვნების სკოლა კი არ არის, როგორც აქ ამბობენ, არამედ ერთი უძლიერეს სახსართაგანია ხალხში თვით ცნობიერების გაძლიერებისათვის. ამიტომ თეატრისათვის უსათუოდ უნდა იქნეს გადადებული 1000 მან. ჩვეულებრივ მის შემწეობად.

თავ. გ. გ. მაყაშვილი. ამ თანხის განაწილების დროს გთხოვთ მიიღოთ სახეში ჩემი განცხადებაც: ჩვენმა ბანკმა წმ. ნინოს თელავის სახელობის დედათა სასწავლებელს დაუნიშნა შემწეობა იმ პირობით, რომ იქ ქართული ენის კათედრა დაარსებულიყო; მაგრამ უბედურება ეს არის ჩვენი, რომ შუა კახეთში, დედათა სკოლაში, ჩვენი თხოვნა არ იქმნა მიღებული ქართული ენის სწავლების შესახებ; ამიტომ ვითხოვ მოისპოს ამ სასწავლებელს შემწეობა, ხოლო რაც შეეხება გორის ანასტასიას სახელობის სკოლას, იქ კი ჩვენი შემწეობის მომხმარე პირნი ისეთს ანგარიშს გვაძლევენ, თუ რაში ხმარობენ ჩვენგან მიცემულ ფულს, რომ მათ კი უსათუოდ მიეცეს, როგორც აქამდე ეძლეოდა შემწეობა.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. როცა ბანკის გამგეობამ გარდასწყვიტა საზოგადო საჭიროების თანხიდან 1000 მან. დრამატიულს საზოგადოებას არ მისცემოდა, ამით ის კი არ უნდა გამოეხატა, რომ მას თანაგრძნობა არა აქვს დრამატიულ საზოგადოებისადმი; პირიქით, ეს არის ერთი ჩვენი სიმპატიური დაწესებულება და მასთან სასწავლებელიც. მხოლოდ ჩვენ გვინდოდა, რომ ჩვენი მატერიალური ძალა არ დანაწილებულიყო. რათა აღნიშნული პრინციპი მთელი იქმნეს და დრამატიულ საზოგადოებას შემწეობა მიეცეს, ასე უნდა მოვიქცეთ: ვსთხოვოთ ზედამხედველ კომიტეტს, რომლის განკარგულებაშიაც არის ექსტრაორდინალური თანხა 28,000 მან, აქედან ასესხოს დრამატიულ საზოგადოებას მომავალ წლამდე.

უგანათ. შ. გრუზინსკი. ყოვლად შეუძლებელია, რომ აღნიშნულ თანხას მოვაკლოთ რამე, იგი რაიმე უბედურების შემთხვევისათვის არის და ამიტომ მას რომ რამე მოვაკლოდ და შემდეგ რაიმე საჭიროება გამოგვიჩინეს, საიდა გამოვნახოთ წყარო. ეს კანონის დარღვევა იქნება და ამიტომ მე პროტესტს ვაცხადებ წინაამდეგ იმ პირთა, რომელნიც აცხადებენ სურვილს ამ თანხიდგან ფულის სესხებისას.

კარგა ხნის კამათის შემდეგ თავჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას იმის შესახებ— მიეცეს თუ არა შემწეობა თელავის წმ. ნინოს სახელობის და გორის ანასტასის დედათა სკოლებს. კრებამ ხმის უმეტესობით მოუსპო შემწეობა პირველს 300 მ. და მეორეს 500 მან. რომელნიც აქამდე ეძლეოდათ მათ. თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ აგრეთვე ხმის უმეტესობით უარჰყო ზედამხედველ კომიტეტის წინადადება საზოგადო საჭიროებათა თანხის განაწილების შესახებ და დაამტკიცა ბანკის გამგეობის ზემოდ მოყვანილი დადგენილება.

შემდეგ კრებას წარედგინა მოხსენება გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისა სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ. ამ თანხისა წელს არის 21.089 მ. 45 კაპ.. მოხსენება ამ ფულს ასე ანაწილებს: 5000 მ. წინამძღვრიანთ კარის სკოლას, 1000 მან. კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის დასახმარებლად; დანარჩენი 15.089 მანნეთი 45 კაპ., წინა წლების მიხედვით, მიეცეს სესხად სკოლის კომიტეტს სკოლის შენობის აგებისათვის.

ბ. გრ. გაბაშვილმა განაცხადა, რომ ბანკს არავითარი კავშირი არა აქვს გამოფენის საქმესთან და ამიტომ 1000 მან. შემწეობის მიცემა სრულიად მეტიაო.

მცირეოდენ კამათის შემდეგ, კრებამ უცვლელად დაამტკიცა წარმოდგენილი მოხსენება.

(დასასრული იქნება)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისი.** «მანჩესტერ გარდიანის» ლონდონელ კორესპონდენტს [illegible], რომ მეფე ედუარდ VII უკმაყოფილება გამოაცხადა იმის გამო, თუ მთავრობა რისთვის სჯის იმ პირებს, რომლებიც სიტყვიერად, თუ გაზეთებში ცუდად იხსენიებენ მეფეს. ედუარდ VII დარწმუნებულია, რომ საზოგადოება სამართლიანად უყურებს მას და ყოველთვის მოახერხებს, რომ მართალი ტყუილისაგან გაარჩიოს. «მეფემ—დასძენს კორესპონდენტი,—ამ საგნის თაობაზედ ისე ნათლად და მკაფიოდ გამოთქვა თავისი აზრი, რომ, არა გვგონია, ამას იქითაც მოხდეს ისეთი ამბავი, რომელიც ამ ახლო ხანებში მოხდა.» კორესპონდენტი ირლანდიელი გაზეთის ნომრის აღკრძალვას იხსენებს, და აგრეთვე შემდეგ ამბავს, როგორიც ამას წინად მოხდა. ბირმინჰამის პოლიციის უფროსმა შეატყობინა «ეროვნულ დემოკრატიულ» ლიგის მდივანს, რომ, როგორც მას აცნობეს, ხსენებული ლიგის ერთ-ერთ კრებაზე საწყენი სიტყვები იყო ნათქვამი მეფის შესახებაო. ამიტომ პოლიციის უფროსი იმუქრებოდა, რომ თუ კიდევ გაბედეს და ამისთანა უკადრი სიტყვები გაიმეორეს, უსათუოდ ლიგის კრებებს აღვკრძალავო. ამის პასუხად «დემოკრატთა ლიგის» თავმჯდომარემ ტომსონმა მისწერა ბირმინჰამის პოლიციის უფროსს და ჰკითხა: ნამდვილია ის წერილი, რომელიც ლიგის მდივანმა მიიღო, თუ არა და თუ ნამდვილია, ვინ მისცა უფლება პოლიციის უფროსს თავისი განაჩენები დაადგინოს იმის თაობაზე, თუ რომელი სიტყვა კანონიერია და რომელი კანონის წინააღმდეგია. «ინგლისში განა სასამართლო აღარ არსებობს?»—ასე დაასრულა ტომსონმა თავისი წერილი. ამ წერილის პასუხად ტომსონმა შემდეგი დეპეშა მიიღო ბირმინჰამიდან: «გავიმარჯვეთ. პოლიციის უფროსი მოდის. კრება აღკრძალული აღარ იქნება».

**საფრანგეთი.** ჩვენ ვიცით, რომ სენატმა კანონ-პროექტი ასოციაციების შესახებ კომისიას გადასცა განსახილველად. ამ კომისიამ 16 მაისს მთელი პროექტი განუხილავს გარდა უკანასკნელი მუხლისა. ყველა დანარჩენი მუხლები კომისიამ უკლებლივ მიიღო; მხოლოდ ის დადგენილება უარჰყო, რომელიც სოციალისტების მოთხოვნილებით იყო ჩამატებული და რომლის ძალითაც სარწმუნოებრივი ასოციაციები ვერ ისარგებლებენ თავისუფლებით. რაც შეეხება უკანასკნელ მუხლის, რომელიც აღკრძალული კონგრეგაციების მამულებს შეეხება და რომელიც პალატამ ლოპიტოს წინადადებით შესცვალა, სენატის კომისიამ ამ მუხლის თაობაზე ვალდეკ-რუსსოსთან მოლაპარაკება გამართა. სანამ ამ კანონ-პროექტს მთლად და საბოლოოდ განიხილავდეს, სენატმა ჯერ ორი წინადადება უნდა განიხილოს, რომლებიც სენატორებმა შეიტანეს ამ პროექტის შესასწორებლად, ასე რომ სენატი თავის გადაწყვეტილებას ხსენებული კანონ-პრო-

---

უ ახრა პირველად ბ. თოფურიას დ. ლორთქიფანიძემ, როცა თოფურია მისულა მასთან და გამოუცხადებია ქალაქის თავის კანდიდატად გამოსულიყო, მაგრამ სრული საფუძველი კი ჰქონდა ეთქვა: Timeo danaos et dona ferentes.

ეს არჩევანი იმით არის საყურადღებო, რომ კანდიდატები თვითონ როდი ცდილობდნენ ამორჩეული ყოფილიყვნენ, არამედ საზოგადოება სთხოვდა კანდიდატებს იყარეთ კენჭიო. კანდიდატების მხრით არამცთუ არაფერი ხვეწნა და ხრიკები არ ყოფილა ხმარებული, არამედ რამდენმამე კანდიდატმა, რომელთაც საზოგადოებამ სთხოვა მიეღო ეს ადგილი, უარი განაცხადეს და არ ისურვეს კენჭის ყრა. როდესაც საზოგადოება ასე თავისუფლად ირჩევს თავის მიერვე აღნიშნულ კანდიდატებს, უეჭველია, რომ მაშინ საზოგადოება უსათუოდ ღირსეულ კაცს გამოიყვანს და უღირსი კაცი კი ველარ დაიჭერს ადგილს, როგორც მოხდება ხოლმე მაშინ, როდესაც კანდიდატი თვითონ ასახელებს თავის თავს და ცდილობს თავისი გაიტანოს ხვეწნით, ქრთამით და სხვა და სხვა ხრიკებით. ასეთი კანდიდატი, რასაკვირველია, ყოველთვის არა სასურველი იქნება.

ვისურვოთ, რომ ამ არჩევანიდან დაწყებულიყოს ქუთაისისათვის ახალი ხანა და შემდეგშიც ყოველთვის ასე წესიერად და პატიოსნად სწარმოებდეს არჩევნები. ახალ ქალაქის თავს მეტად დახლართული და გაფუჭებული მემკვიდრეობა ხვდა წილად. მაგრამ მისი ცნობილი მხნეობა და ერთგულობა საზოგადოებისადმი თავდებია იმისი, რომ ქალაქის მეურნეობას გამოაკეთებს რამდენადაც შესაძლებელი იქნება.

ტფილისში ისე ღირსშესანიშნავი არჩევნები არ გვაქვს წლეულს, როგორც ქუთაისში იყო. სამაგიეროდ ტფილისს შეეძინა ერთი ახალი რუსული გაზეთი „არგონავტი", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა მაისის ოცს.

ახალი გაზეთის გამოსვლის ამბავს რომ მკითხველი გაიგებს, ჯერ გაზეთის სახელს დააკვირდება და ამ სახელით მოინდომებს გამოარკვიოს, თუ რის მოწადინეა გაზეთი და რა მიმართულებას დაადგებაო.

თუ ამ შემთხვევაშიც მკითხველი ამ ჩვეულებას დაადგება, არ ვფიქრობთ, რომ კარგი აზრი შეადგინოს გაზეთის შესახებ. მართლაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ახალი გაზეთის სახელი „არგონავთი" ვერ არის მოხერხებულად ამორჩეული. „არგონავთები" იყვნენ ძველად უცხო ქვეყნიდან კოლხიდაში მოსულები, რომელთა მიზანი კოლხიდაში სიმდიდრის შეძენა და უკან დაბრუნება იყო. მათ თავის მიზანი შეასრულეს: ოქროს საწმისი მოიტაცეს, თან მოიტაცეს კოლხიდის მეფის ასული მედეა, სიმშვენიერით და სიბრძნით ქებული და უკანვე დაბრუნდნენ შინ. ისე რომ კოლხიდიდან მათ გაიტანეს სიმდიდრე-სიბრძნე და კოლხიდაში კი არაფერი არ შემოუტანიათ.

შეუძლებელია ასეთი მიზანი მივაწეროთ ახალ გაზეთს. მაშასადამე, სახელი ამოურჩევიათ მოუხერხებლად. მით უფრო შეუძლებელია მივაწეროთ ახალ გაზეთს მისი სახელის შესაფერი მისწრაფება, რომ მისი რედაქტორ-გამომცემელი ბ. ტხორჟევსკი ცნობილია, როგორც პატიოსანი და ნიჭიერი მოღვაწე-ხელმძღვანელი თავის დროზე საუკეთესო, მაგრამ უდროოდ მოსპობილის გაზეთებისა — „ფალანგასი" და „გუსლისა".

სამწუხაროდ, პირველ ნომერში რედაქცია არას გვეუბნება თავის პროგრამისას. მაშ მოვუცადოთ შემდეგს ნომრებს. პირველ ნომერშივე რედაქცია იმას კი ამბობს, რომ არც ერთ პარტიას არ მივემხრობითო და ვეცდებით დავიცვათ პარტიების გარეშე საზოგადოების საერთო ინტერესებიო. კარგი და პატიოსანი. ჩვენს მხარეს ბევრი ისეთი ინტერესი აქვს, რომელიც საერთოა ყველა მცხოვრებთათვის, განურჩევლად ეროვნებისა და პარტიებისა და თუ ასეთი ინტერესები რუსულმა გაზეთმა პატიოსნად და მხნედ დაიცვა,—მადლობის მეტი რაღა გვეთქმის.

მაშ გზა დავულოცოთ ახალს მოძმეს და ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და მხნეობა.

…შესახებ მხოლოდ შემდეგ გვერდზე …ენს.

…ლგია. სენატის და დეპუტატთა პალატის …ალური დასები დიდი ხანია ცდილობენ, …ბელგიაში საყოველთაო თანასწორი საარ… უფლება მიენიჭოს ხალხს. ამ დასებმა …ინად მომხდარ კრებაზე გადასწყვიტეს წი…ება შეიტანონ პალატაში, რომ მთავრობა …დაეკითხოს ამ საგნის თაობაზე, რისთ… მთელს ბელგიაში კენჭის ყრა უნდა მოხ… …ქვეყანამ უნდა თავისი აზრი გამოთქვას …თაობაზე, თუ სწადიან საყოველთაო თა… …რი საარჩევნო უფლების პროპორციონა… წარმომადგენლობითური დაწესება, თუ …როგორც ცნობილია, ბელგიის საარჩევნო … ამ ჟამად ბევრ ამომრჩეველს რამდენიმე …ს უფლება აქვს მიცემული.

…პალატის ბიუროს სამინისტროსაგან მო… …ობა მიიღო; სამინისტრო სწერს ბიუროს: …სწორედ დროა, რომ პალატაში წარდგე… …იქმნას კანონ-პროექტი ახალ-შენების შე… …ხოლო ამ კანონ-პროექტის ძალით, 1890 …კონვენციის თანახმად, კონგოს სახელმწი… …და ბელგიას შემოუერთდეს. ეს წინადა… …ვეულმა გულ-გრილად მიიღო. სოციალის… …თავიანთ პარტიის კრებაზე ერთ-ხმად მიი… …ანდერძველდეს რეზოლიუცია; ამ რეზოლიუ… …ნათქვამია, რომ, კონგოს შემოერთება …და ხარჯებს გაადიდებს და სამხედრო წო… …გააძლიერებსო; მაშინ ბელგიელი კაპი… …ტები უფრო ტყავს გააძრობენ ზანგის …რებსაო. დასასრულ რეზოლიუცია წინადა… …აძლევს სოციალისტ-დეპუტატებს, რომლე… …ლატასა და სენატში არიან არჩეულნი, …მთავრობის კანონ-პროექტს კონგოს შემო… …ს თაობაზე დიდი წინააღმდეგობა გაუ…

…ხრეთ-აფრიკა. ინგ. გაზ. «ვიკლი რე…რ»-ი რჩევას აძლევს ინგლისელებს, რომ, …,რაც შეაძლება, მალე მოუღონ ბოლო. «იმე… …ვიქონიოთ,—ამბობს გაზეთი,—რომ მთა… …ბ. ნ მილნერის გამოკვლევებით ისარგებ… …და მკაცრ პროკლამაციას შეიმუშავებს, …ეც ბურებს უნდა გამოეცხადოს. ვფიქ… …ეხლა მარჯვე დროა საამისოდ, რომ …ვალ დანიშნოთ მორჩილების გამოსაც… …ად, ხოლო ამ ვადის შემდეგ ეს და მებრ… …ბურები კანონ-გარეთ იქნებიან და მათ …ქცევიან, როგორც მხეცებს.

…პასუხად ფრანგ. გაზ. «პარი ნუველ»-ი …ავს: «კაცთმოყვარეობის სასარგებლოდ უნდა …ოთ, რომ ინგლისის მთავრობამ არ მი… …ს ბარბაროსული რჩევა და თუ ვინიცო… …რჩევა აასრულეს, მაშინ ბურები თავიანთ …შესაფერისად მოიქცევიან და მაშინ …თუ ვინ უფრო იზარალებს ამისთანა …შემოღებით. ანგარიშით გამოდის, რომ …ებს კვირაში, სულ ბევრი 20 ბური …ტყვედა, ხოლო ბურებს კი კვირა… …კაცი მიჰყავთ, რომლებსაც ჩვეულები… …მაშინვე უშვებენ. ზემოხსენებული პრო… …მ რთლა რომ გამოცხადდეს, მაშინ …რადა თქმა უნდა, მოჰკლავენ ამ ტყვე… …მ ნაირად ხსენებული გაზეთის რჩევის …თ ინგლისი უთვლელ კვირა 79 კაცს დაჰ…

ახალი ამბავი

…უშინ, 26 მაისს, ნაშუადღევის სამ … ტფილისის ბანკის რწმუნებულთა …ოთი საქმის გარდა დაასრულა სხვა …ასხენებების განხილვა და დღეს დი… …სათვისათვის დანიშნულ სხდომაზე …ლ იქმნებიან ბანკის გამგეობის … ა. ნ. ფურცელაძის ნაცვალად და …ასის კანდიდატი და დამფასებელ … სამი, წევრი ნაცვლად თავ. …კაციშვილისა, რომელსაც ვადა … ამ თანამდებობაზე და კ. ნ. …ძისა და თავ. ნ. ა. თუმანიშვი… …რომელთაც ვადამდე დაანებეს თავი, …ევე მათი კანდიდატები.

…ღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის …ლ საზოგადოების შენობაში მოხ…დება საზოგადო კრება სახალხო კითხვათა ტფ. კომისიის წევრთა.

◆ დღეს, დილის 10 საათზე, დანიშნული ამიერ-კავკასიის რკინის-გზებზე მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა უკვე ალნუსხა ქალაქის ყველა ვალები და აღმოჩნდა, რომ გასულ იანვრის პირველისათვის ქალაქს ჰქონია 1.250,000 მან. ვალი.

◆ რადგანაც მესამე საობლიგაციო სესხის ნაწილის განაღდებიდან უკვე შემოსულა 183 000 მან., ტფილისის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია სთხოვოს საბჭოს ნებართვა, რათა ნაწილი ამ ფულისა ეხლავე გადასცენ ქალაქის ლომბარდს საწარმოებლად და ნაწილი გადასცვალონ სახელმწიფო 4% რენტის ქაღალდებზე.

◆ მიწად მოქმედების სატყეო დეპარტამენტში აღძრულია კითხვა კავკასიაში კერძო ტყეებზე სატყეო კანონების გავრცელების შესახებ.

◆ სოხუმის ოლქის თავად-აზნაურობას უთხოვნია უმაღლეს მთავრობისათვის, გაავრცელოს მასზედაც ის სავადასახადო შეღავათი, რომელიც უმაღლესად ებოძა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურობას 1900 წლის 12 ივნისს, მაგრამ ეს თხოვნა არ შეუწყნარებიათ.

◆ ქუთაისიდგან გვწერენ: „24 მაისს ქალაქის მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საქმე რამოდენიმე სტუდენტის და გარეშე პირთა, რომელთაც ბრალდებოდა თეატრში მშვიდობიანობის დარღვევა აპრილში „Сыны Израиля“-ს წარმოდგენის დროს.

მოსამართლემ ჩამოართვა ჩვენება მოწმებს და დამნაშავეთ დაუსაჯა—ლომთათიძეს ათი მანეთი ჯარიმა, ანუ სამი დღით დაპატიმრება, არაბიძეს და კაჩუხოვს ხუთი მან. ჯარიმა, ანუ 1 დღით დაპატიმრება, ჩიქოვანსა, მეუნარგიას, გოპეჩიას, ჩხეიძე, კურესელიძეს და აბაშიძეს სამ-სამი მან ჯარიმა, ანუ 1 დღით დაპატიმრება“.

◆ ოფიცერს ივანე ალექსეევს, რომელიც დამნაშავედ იცნო სამხედრო სასამართლომ ტეხნიკ ივანოვის დაჭრაში, საკასაციო საჩივარი გადააქვს უმაღლეს სამხედრო სასამართლოში.

◆ გუშინ წინ, 25 მაისს, „კრუჟოკის“ საზაფხულო ბაღში სადილი გაუმართეს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფს ბ. იანოვსკის—ხსენებულ ოლქის მოსამსახურეებმა.

◆ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს შესანახად ქ. ტფილისს ხვდა 2250 მ. გადახდა.

◆ ხმ. ზაზოვმა შეიტანა საბჭოში განცხადება, რომელშიაც იგი თხოულობს, რომ მოწვეულ იქმნას განსაკუთრებული სტენოგრაფი იმ დღისათვის, როცა განირჩევა ქალაქის თავის და გამგეობის ყოფილ წევრების საქმე სასამართლოში.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრს თ. ჩერქეზიშვილს მიანდვეს ბორჯომში წასვლა და იქ ქალაქის აგარაკის დათვალიერება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა შესტაკოვმა აღძრა კითხვა შესახებ მუხრანსკის ხიდის გაკეთებისა. აღმოჩნდა, რომ ხსენებული ხიდის აშენება გადაუწყვეტია ქალაქის საბჭოს ჯერ კიდევ 1881 წელს და პირველ საობლიგაციო სესხიდან (750,000 მ.) უნდა გადაედოთ ამ საქმისათვის 110,000 მანეთი, მაგრამ შემდეგ საქმე მიუვიწყებიათ.

◆ დღეს საბჭოს სადგომში შესდგება კრება კათოლიკეთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრებისა.

◆ რედაქციამ მიიღო ორი ახალი ქართული წიგნაკი დ. ყვირილაში მიხ. გაჩეჩილაძის სტამბაში დაბეჭდილი: 1) „ერთი წამი უბედურებამდის“, ვოდ. 1 მოქმედ. ვ. ბალანჩივაძისა (ფასი 3 კაპ.) და „ეტიუდები“ თეოფ. ხუსკივაძისა (8 მოთხრობა), ფასი 25 კაპ.

◆ ქ. სიღნაღის ფქვილის გამჭრები სთხოვენ ტფილისის გუბერნატორს ნება მისცენ მათ კვირა დღეებშიაც ივაჭრონ.

◆ გუშინ წინ, 25 მაისს, მამა-დავითზე ბ. პრესბერგს მოჰპარეს 400 მან. ამ მოკლე ხანში პრესბერგს დაუქირავებია მოსამსახურე, რომელიც პირველში სამაგალითოდ თურმე ასრულებდა თავის მოვალეობას. გუშინწინ კი, როცა უფროსები სახლში არა ყოფილან, გაუტეხია კამოდი, ამოუღია იქიდან თავისი პასპორტი და 400 მან. და გაპარულა. პრესბერგს ქურდის სახელი და გვარიც არ ახსოვს.

◆ „დანიის“ ნომრებში ყაზანის საბეითალო ინსტიტუტის სტუდენტს კასტორსკის მოჰპარეს 50 მ. ეგევე ნომრების მსახურ მ. თოდიაზე აქვთ.

## ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დამფუძნებელთა კრება.

22-ს მაისს შეიკრიბნენ ქუთაისში ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დამაარსებელნი წევრნი; ამ სხდომის მიზანი იყო ახალი საზოგადოების ორგანიზაციის დაარსება და მოლაპარაკება სხვა ამავე საზოგადოების მიმდინარე და მომავალი საქმეების გამო. საბჭოს თავმჯდომარემ ბ. გ. ფ. ზდანოვიჩმა მოახსენა საზოგადოებას ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც შედგენილი იყო თვით საზოგადოებისაგან განსაკუთრებული კომისიის მიერ; კომისიის მოსაზრებით, რადგანაც ეს ახალი დაწესებულებაა, საჭიროა ფრთხილად მოეკიდონ საქმეს და ამიტომ, იმავე წევრების აზრით, ამ თავით ეს ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 7500 მანეთს: გამგეობის სამ წევრს—1200 მანეთი თითოს—სულ 3,600 მანათი; დანარჩენი ხარჯი—ბინა, განათება—გათბობა—სავაჭრო მოწმობა და სხვა 3,900 მანეთი. ამასთანავე პირველად არ იქნება დანიშნული განსაკუთრებით ბუხჰალტერი და მოლარე (კასსირი); ეს თანამდებობანი უნდა გაანაწილონ ჯერ-ჯერობით გამგეობის წევრებმა: ამ აზრს არ დასთანხმებია კომისიის ერთი წევრი—გაცფელდი. გაცფელდის აზრით, კომისიისაგან დანიშნული თანხა ახალი დაწესებულების შესანახავად ძლიერ ცოტაა; მისის ანგარიშით, ჭიათურის ბანკს შეუძლია იქონიოს პირველსავე წელიწადს ნახევარ მილიონზედ მეტი ოპერაცია, რომელშიაც მარგანეცის დაგირავება-გაჭრობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოსო; ბ. გაცფელდის მოსაზრებით, უკიდურესს შემთხვევაში ჭიათურის ბანკს ექმნება წმინდა შემოსავალი 45,000 მანეთი; ამის მიხედვით გამგეობას შესაძლოა დაენიშნოს შემდეგი ჯამაგირები: 4 წევრს—12 ათასი მან. საქმის მწარმოებელს—3 ათასი მან. ბუხჰალტერს —1500 მან. კანცელარიის შესანახავად—1500 მან. პირველი მოწყობის ხარჯი 3 ათასი მ., ბინა—1200 მან. განათება-გათბობა—600—ამ ნაირად, გამოანგარიშებული ხარჯი შესდგა სულ 45 ათასი მანეთი. ბ. გაცფელდის ან-გარიში და მოსაზრება კრების უმრავლესობამ გაზვიადებულად იცნო; კითხვის გამოსარკვევად საზოგადოებამ სთხოვა ბ. კირილე ლორთქიფანიძეს, როგორც გამოცდილს ამ საქმეში, გაეცნო საზოგადოებისათვის მისი აზრი. ბ. კირილემ სთქვა, რომ მას არ მიაჩნია მოსახერხებლად ჭიათურის ბანკისათვის ქუთაისის ბანკის პირვანდელ მოქმედებით ხელმძღვანელობა. მართალია, პირველად ქუთაისის ბანკის დაარსების დროს რამოდენიმე თანამდებობა შეერთებული იყო, მაგრამ ათითუთხმეტი წლის წინ სულ სხვა გარემოება იყო და ეხლა სულ სხვა არისო. ქუთაისის ბანკის დაარსების პირველ წელიწადს ვექსილების ხელის მომწერნიც ძვირი იყო; ყველა გაურბის სცხვენოდათ ფულის სესხება ბანკისგან; დღეს კი სულ სხვა გარემოება არსებობს: ეხლა ყველამ კარგად შეიგნო კრედიტის საჭიროება და საქმეც ძლიერ გართულდა; ამიტომ უსათუოდ პირველადვე უნდა იყოს დანიშნული ცალკე მცოდნე ბუხჰალტერი—რომლის ჯამაგირი არ უნდა იყოს ნაკლები 2000—2500 მანეთზედ; ბუხჰალტერის თანაშემწეც საჭიროა; მოლარეს დაენიშნოს არა ნაკლებ 1500 მანეთისა და დირექტორებს უნდა დაენიშნოს ორჯელ მეტი. ვიდრე კომისიას უანგარიშია. ბ. კირილეს აზრით, გამგეობამ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს მარტო იმით კი არ უნდა ხელმძღვანელობდეს, რაც ფული ხა ხელთ აქვთ, არამედ იმით, თუ რა ოპერაციები შეიძლება მოახდინოსო. თავ. ივანე ნიჟარაძე იძლევა წინადადებას ან მიუმატონ ჯამაგირი დირექტორებს და მიენდოთ დროებით მათ მოლარის და ბუხჰალტერის თანამდებობა, ან დაანიშნონ ცალკ-ცალკე ჯამაგირი იმ ორ თანამდებობაზედაც. საზოგადოების აზრი ორად გაიყო: ერთი ნაწილი ეთანხმება ბ. კირილეს აზრს—ხარჯის მომატებას, მეორე ნაწილი ეხლანდელი საშუალების თანახმად სთვლის საჭიროდ ანგარიშის შექმნას. ბოლოს საზოგადოება დაეთანხმა თავმჯდომარის აზრს, რომლითაც გამგეობას და საბჭოს მიენდობა უფლება მოიწვიოს საჭიროებისამებრ ბუხჰალტერი და მოლარე. კრების უმრავლესობა ნიშნავს ბუხჰალტერის ჯამაგირად 1200 მანეთს და მოლარეს—800 მანეთს. დირექტორების ჯამაგირის დანიშვნის შესახებ კრება ერთ-ხმით დაეთანხმა თავმჯდომარეს, რომ მათ დაენიშნოთ პირველად ჯამაგირი ათას-ორასი მანეთი იმ პირობით, რომ ექვს თვეში ბანკის წარმოების მიხედვით, თუ საშუალება იქნება, შეუსრულდეთ მათ ჯამაგირი ორი ათას-მანეთამდის. ამ განაჩენის ასრულება მიენდო საბჭოს. ბ. კირილეს განმარტებით, საზოგადოებამ მიიღო ის აზრი, რომ დირექტორების დასამატებელი ფული უნდა გამოეკლოს იმ თანხას, რომელიც სადივიდენდო ნაწილს შეადგენს. მწერალს დაენიშნა—400 მ., მოსამსახურეებს ორს 480, ბინა 600 მ. განათება-გათბობა—300 მ. საბეჭდი ხარჯი—250 მანეთი. ფოსტის ხარჯი—500 მ. იმ პირობით, რომ გამგეობას საჭიროებისამებრ შეუძლია მოუმატოს ამ ხარჯს; სავაჭრო მოწმობა—200 მ., კანტორის ხარჯი—800 მ; სალარო (კასსა)—300 მ; ავეჯი—200 მ. მოულოდნელი ხარჯი—1000 მ. სულ მთელი ხარჯი შესდგება—10730 მან. შემდეგ შეუდგნენ კანდიდატების დასახელების საქმეს; თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საზოგადოებისაგან არის დამოკიდებული ის სისტემა, რომლის მიხედვითაც უნდა არჩეულ იქმნენ კანდიდატები. საზოგადოებამ ერთ-ხმად სთხოვა თვით თავმჯდომარეს ბ. ზდანოვიჩს ეკისრნა ბანკის თავმჯდომარის თანამდებობა; მაგრამ მან უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ საბანკო საქმეებისათვის ის მომზადებული არ არის; ამ საქმის შესწავლა მასაც ისე დასჭირდება, როგორც ყველა ახალ-კაცს; როგორც საბჭოს თავმჯდომარე, ის ვალდებულია უმისოდაც იზრუნოს ამ ბანკის კეთილ-დღეობისათვის.

თავ. ი. ნიჟარაძემ წაიკითხა სია იმ კანდიდატებისა, რომელიც შედგენილია კრების უმრავლესობისაგან. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას დაუსახელებია: თუმანიშვილი, ივანე (კოტა) აბაშიძე, იაგორ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე კრონიცკი. ერთმა წევრთაგანმა ითხოვა, რიცხვთაშორის იოსებ კაკაბაძის ჩაწერაც. კოტა აბაშიძე უარს აცხადებს თავის კანდიდატობაზედ, მაგრამ ბოლოს მაინც დაითანხმეს. არჩეულ იქმნენ ერთათ კ. თუმანიშვილი, კ. აბაშიძე, იაგორ ლორთქიფანიძე. ალექს. კრონიცკიმ უარი განაცხადა კანდიდატობაზედ, იოსებ კაკაბაძეს 62 ხმიდან—22 ხმა მოუვიდა. შემდეგ ივანე ნიჟარაძე კი თხოულობს უმრავლესობისაგან შედგენილ სიას საბჭოს წევრებისას: 1) ბეჟან წერეთელი; 2) სვიმონ დავითისძე წერეთელი, 3) იოსებ კაკაბაძე, 4) ჯიბოიაშვილი, 5) ანეპოდისტ წერეთელი; 6) დავით ლიონიძე; 7) გაცფელდი. უმრავლესობა სთხოვს ზდანოვიჩს საბჭოს წევრობას; მაგრამ ის უარს აცხადებს, რადგან ის ქუთაისის ბანკის საბჭოშია წევრად. არჩეულ იქმნენ საბჭოს წევრებად ზემო-დასახელებული პირნი სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: 1) ნესტორ მიქელაძე; 2) კრონიცკი. 2) ილია სეეტ; კანდიდატებად გერასიმე ბერიძე, ვლადიმერ შავლია, ტრიფონ დამბაშიძე.

მიმდებ კომიტეტის წევრებს, წესდების ძალით, გამგეობა და საბჭო ირჩევს. ამნაირად დასრულდა ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი კრება.

დამსწრე.

# პროვინცია

**ქიზიყის წინამხარ სოფლებში** (სიღნაღის მაზრა) დიდი მოძრაობაა ამ წელს. ისე დღე არ გავა ამ უკანასკნელ ხანებში, რომ რომელიმე სოფელი არ მოადგეს სიღნაღის სამაზრო სამმართველოს კარებს და არ ითხოვოს მამასახლისის ჯაჭვის ახსნა. თითქმის ყველა სოფლებში დაცვალეს მამასახლისები. გამოცვალეს ყუავლით (ყვავლით) სოფელ ანაგაში, ვაქირში, მაშნაარში, საქობოში, ჯუგაანში და ბოდბისხევში. მაგრამ უყავლოთ გამოცვლას და შერცხვენას ვიდა ნჩივის — ზოგიერთა სოფლები თხოულობენ გამოცვლილ მამასახლისთა პასუხის გებაში მიცემას სასოფლო-სამეურნეო ფულების გაფლანგვისათვის. აი ამ დღეებშიაც ზემო მაჩხაანის სოფლის საზოგადოება თხოულობდა მამასახლისის ჯაჭვის აშვებას, რადგან ფულების გაფლანგვას აბრალებდნენ და უფრო უკეთ შეეძლოთ ანგარიშის ჩამორთმევა. ეს უკანასკნელი სულ რამდენიმე თვეა, რაც მამასახლისად ამოირჩიეს და ამ მოკლე ხანში მოესწრია სოფლის გამწარება. მამასახლისებს თუ სცვლიან უფრო კრიჭაში უდგანან. ამ ბარდნებს, რომელიც ხორბალს აგროვებენ რთველის პურის მაღაზიებისათვის. წელს ბევრს აწუევ ლინჯს თავისი გაჩენის დღე. განა უწინ უფრო მეტს არა სჭამდნენ მოხელენი, რომ მთელი სოფელი არ გაჩბოდა საჩივლელად? თუ სოფელი შეიჩმუჩნებოდა როდისმე, იყაყანებდა, იყაყანებდა და ჩაჩუმდებოდათ? ეს იმით აიხსნება, რომ უწინ ხალხი უფრო მდიდარი იყო. შემოსავალი ჰქონდა, მოთხოვნილება ცოტა და ორიოდე სამი მანათის გულისთვის თავს არ გამოიდებდა. მართალია იყვნენ მაშინაც შეუძლებელ დარიბნი, მაგრამ იმათ სოფლის მოხელეებისთვის არ ეცალათ და არც გაუგონებდათ ვინმე იმათ. სოფლის მომეტებული ნაწილი შეძლებული ოჯახიშვილები შეადგენენდა ხმის უმეტესობით რაკი სამე სწყდება სოფლებში, ეს შეძლებულნი მუდამ პატიებით არიგებდნენ ხოლმე, როდესაც გამოჩნდებოდა რომელიმე მოხელისაგან ფულის გაფლანგვა, ან არა დაავალებდნენ რამდენიმე პირს მოხელის დასჯას. იყო ხოლმე მაგალითები, როგორც სოფელს ვაქირში, 400—800 მან. გაფლანგვისა, მაგრამ უფველთვის პატიებით გათავდებოდა საქმე. დღეს კი დრო შეიცვალა, ხალხი ქონებრივად უკან უკან წავიდა, მოთხოვნილება გაიზარდა, და სოფლები საერთოდ გაღარიბდა. ესქთი მდიდრები აღარ არიან, რომ ორი სამი მანათის მეორედ გადება არ ემძიმოს. მეორეც ეს — უწინ ანგარიში ორმა-სამმა პირმა თუ იცოდა სოფელში, ეხლა კი ყველამ ისწავლა და რაკი ცხოვრება გაძნელდა — მეტი ყურადღებაც მიაქციეს, თუ მათი გადებული ფული სად მიდის, ან მართლა თხოულობენ მისგან, თუ მოხელე ატყუებს.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩაფრების ფარფაშობა მოისპო. ჩაფრები ისე დადიოდნენ სოფლებში, როგორც მახ-აბაზი მოხელესაც უხაროდა მათი მოსვლა; დაიძახებდა გზირი — ჩაფარი მოვიდა მოხელეს მოჭყვა ხარჯი უნდა იმასაო, და აგროვებდა სოფელში პურს, ყველს, ღვინოს, ქათამს, ინდოურს და სხვა სანოვაგეს, სწორეთ ერთი თვის საგძალს. დღესაც ახსოვთ სოფლებს ზოგი ჩაფრები. ამითი სახელით არამც თუ წვრილებს, მსხვილებსაც აშინებდნენ. თუ მოხელეს გააჯავრებდნენ, მაშინვე დაექადებოდათ ამასა და ამას გამოგისევთო. რასაკვირველია, დღეს ეს ფარფაშობა მთავრობამაც აჭკვეთა და აკი აღარც ითმენს და მტყუანს მტყუვნის კარამდენ სდევენ. მოხელეებს კი უნდათ ისევ ეწინდებურად იფარფაშონ სოფელში, მაგრამ ყველას თავისი დრო აქვს. ზოგიერთნი იმითი ამართლებენ მოხელეთა ბოროტ-მოქმედებას, რომ უჯამაგიროთ მსახურობენო. მერე, ვინ ატანს ძალას მუქთად იმსახურეთო. განა თითონ არა სცდილობდნენ ხოლმე და წინდაწინვე დაძვრებიან სოფლებში ხალხი შეიძინონ და ამოარჩევინონ თავიანთი თავი?! მეორეც ეს: იმისთანა დიდს სოფლებში, როგორიც ქიზიყის სოფლებია, გარდა ერთი ორი სამისა, მარტო იმას, რომ დაუფასებლად ხელეწიფებიან ბოლოსი, რასაც განონიერს ეძახის სოფელი, კიდევ შეუდგება წლიწადში 400—600 მან., რომელიც დიდს ფულს შეადგენს უსწავლელი კაცისათვის. ამ ფულით ნასწავლ კაცსაც დაიქირავებს სოფელი.

ჯოჯოხეთის ერთი მეგუზალი აკლდა, მიიტანეს და ისიც მიუმატიანო, სწორედ ეს ევე დაემართა ქიზიყის და ნამეტნავად სოფ. ბოდბემაღაროს. ჯერ იყო და რაც ხანია მკვიდრთ აინალის და ბერდანის თოფები ჩამოართვეს ყაზახებმა და ელდარელმა თათრებმა თითქმის მთელი ქიზიყის საქონელი გაირეკეს და წაასხეს ქურდულად და ახლა კიდევ სპარსეთიდან გადმოსულმა ყაჩაღ ჩალახ-ბალის ბრბო აყლებს მუსრს. აქამდის თუ ქურდულად მიუდიოდნენ საქონელი, ახლა დღიურ, მზიურ დაეცემიან თურმე ბინებს, უიარაღო მწყემსებს გარს შემოერტყმიან და საქონელს შიგ რჩევით ერეკებიან. ამ მოკლე ხანში დიდი შიშის ზარი დასცეს მთელს შირაქს და ბევრი საქონლის პატრონი დასვეს ბოროტმოქმედთ ცარიელზე. მოთმინებიდან გამოსულები, და ქონებრივ დაზარალებული ბოდბელებმა რაკი ნახეს მათი მხსნელი და ქომაგი არავინ იყო, ჩამოვიდნენ მაზრის უფროსთან და სთხოვეს, ერთი ათი თოფი მოგვეცით, ვიდრე ყაჩაღებს დავხოცთ ან დავიჭერთ და შემდეგ თქვენვე მოგართმევთო. მაზრის უფროსსაც მიუცია ათი თოფი და ამ თოფებით შეიარაღებულნი სულ რჩეული ბოდბელი ბიჭები მამასახლისის მეთაურობით გავიდნენ შირაქში ჩალახ-ბალის ბრბოს დასაჭერად ან დასახოცად. ათის დღით არიან ბოდბელნი წასულნი და ვნახოთ რა ვაჟკაცობას გამოიჩენენ. უწინ, როცა უფრო მეტი შიშიანობა და მტრიანობა იყო, ბოდბელნი ამაყად უხვდებოდნენ შემოსეულ მტერთ და იფარავდნენ ქონებას. ვაჟკაცობა ახსოვთ თათრებს ბოდბელებისა და დღესაც თურმე მთელს ყაზახის მაზრაში ცნობილია ვაჟკაცობით ბოდბელი სტეფანე მაჭარაშვილი. შარშან თვით ამ ვაჟკაცს მ—ს დასტყუეს თურმე 16 სული საქონელი და, როცა გაიგო მამამ, კარზე არ გაუშვა შვილი — იქ უიარაღოს მოგკლავენ, ისევ მე წავალ საძებნელადაო. წავიდა — მიაგნო კვალს, ქურდებიც აღმოაჩინა და საქონელს მისცა, მაგრამ ვინ იცის, როდის გათავდება! მაზრის უფროსს საერთო დარაჯნიც გაუგზავნია ათეცის მეთაურობით შირაქში ჩალახ-ბალის ბრბოს წინააღმდეგ.

ელიზბარ ქალი შვილი

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 მაისი.

**პეტერბურგი.** 25 მაისს, ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, სატახტო ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით; გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისები. ისააკის საკრებულო ტაძარში წირვა შეასრულა მიტროპოლიტმა ანტონიმ. საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

მოსკოვიდან, ჩერნიგოვიდან, კიევიდან, ლოძიდან, ვოლოგდიდან და ნოვოგოროდიდან დეპეშები მოვიდა, რომ ჩამოთვლილ ქალაქებში გადაუხდიათ სადღესასწაულო პარაკლისები ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღესასწაულობისა გამო.

**მოსკოვი.** ხმა არის, ვითომ სოლდატენკოვს ანდერძი დაეტოვებინოს განაგრძონ წიგნების გამოცემა მისგან უკვე გამოცემულ და ჯერ გაუყიდავი წიგნების ფასით და ახალი გამოცემანი შესწირონ ხოლმე სხვა და სხვა სასწავლებლებს. ანდერძათ დაუტოვებია საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისათვის ჯეროვანი ჯამი, რომელიც სოლდატენკოვის სურვილის თანახმად აღმოსავლეთის ისტორის გამოკვლევას უნდა მოხმარდეს; შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ კომიტეტისათვის და თავ-შესაფარებისათვის. მოსკოვის ვაჭართა საზოგადოებისათვის დაუტოვებია 1,300,000 მ. იმ პირობით, რომ ამ ფულიდან 300000 მ.ააშენონ პროფესიონალური სასწავლებელი და 1000000 მ. გადაიდოს სასწავლებლის ხარჯად; სოლდატენიკოვის სახელზედ საავადმყოფოს ასაშენებლად ფული დაუტოვებია იმ პირობით, რომ ამ საავადმყოფოთი სარგებლობა შეეძლოს ყოველს მოსკოველს გაურჩევლად წოდებისა.

**ვილნა.** მოვიდა დიდი წვიმა და ბევრგან ქვა-ფენილები გააფუჭა. წვიმამ მცენარეულობა გააცოცხლა.

**ოდესსა.** გემი „კიევ“-ით მოვიდა ორი კორეიელი; მათგან ერთი კორეის სავანგებო საელჩოს მდივნად პეტერბურგში დანიშნული. ჩამოვიდა აგრეთვე რუსეთის კონსული ნაგასაკში.

**ბერლინი.** რუსეთის დედოფლის დაბადების დღეს რუსეთის აქაურს საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ ელჩი, მისი მეუღლე, საელჩოს წევრები და დედოფლის სახელობის დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია. საღამოს ხსენებულს პოლკს სადილი ჰქონდა გამართული, რომელზედაც მიწვეული იყო ელჩი საელჩოს მოხელეებითურთ. საელჩო მორთული იყო დროშებით.

**ვენა.** რუსეთის დრაგუნთა მე-25 პოლკის ოფიცერთა დეპუტაცია წავიდა რუსეთში.

**ბელგრადი.** 1 ივნისს შეიკრიბება ბულგართა და სერბთა კომისია, რომელმაც ცხადად უნდა აღნიშნოს ამ ორ სახელმწიფოს საზღვრები და მით შეუძლებელ ჰყოს მომავალში საზღვრების არევ-დარევა. კომისია ამასთანავე განიხილავს საჩივრებს ზარალის ზღვევის შესახებ იმ პირთათვის, რომლებსაც საზღვრებზე უწესოებათა გამო ზარალი მოუვიდათ.

**ვენა.** რუსეთის დედოფლის დაბადების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლის, რომელსაც დაესწრნენ საელჩოს წევრები.

**ბერლინი.** 24 მაისს იმპერატორის საუზმეზე მიპატიჟებულნი იყვნენ კნ. გოლიცინისა და გრაფინია შუვალოვისა ქალიშვილითურთ.

**პარიზი.** გაზ. „ეკლერ“-ის სიტყვით, ახლო მომავალში გაცხოველდება საფრანგეთის პროტექტორატი; გერმანია, ინგლისი, იტალია და რუსეთი ამის წინააღმდეგნი არ იქმნებიან. პროტესტს მხოლოდ ესპანია გამოაცხადებს.

**ბერლინი.** გაზ. „რეიჰსანცაიგერ“-ში გამოცხადებულია ცნობა, რომ აღმოსავლეთაზიის ომის სახსოვრად დაარსებულ იქმნა ახალი ორდენი, რომელიც დაურიგდება გერმანიის ექსპედიციაში მონაწილეობის მიმღებთ. ამ მედალს მისცემენ აგრეთვე სხვა რაზმებსაც, რომელნიც გერმანელებთან ერთად მოქმედობდნენ.

**ბერლინი.** გენერალ-ლეიტენანტი ლესსელი იტყობინება: „დამტკიცდა, რომ წარსულ კვირას ტიანძინში მომხდარ უწესოების დროს გერმანელ ჯარის-კაცთ იარაღი არ უხმარიათ. დაჭრილი სამი ჯარის-კაცი უკეთ არიან. ცეცხლმა, რომელიც გაჩნდა პეკინის აღკრძალულ ნაწილში, გაანადგურა სამი სახლი და იმპერატორის ბიბლიოთეკა.“

**კონსტანტინეპოლი.** დღეს მოხდა არჩევნები მსოფლიო პატრიარქისა; არჩეულ იქმნა ისევ იოაკიმ მესამე; სინოდში ის ერთხმად იქმნა არჩეული. არჩევნები წარუდგინა დასამტკიცებლად სულთანს.

**სოფია.** რუმინიის მთავრობამ შეატყობინა ბულგარიის მთავრობას, რომ მან სასტიკი კონტროლი დააწესა საზღვრებზე მაკედონიანთა რუმინიაში გადასახლების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს რუმინიის მთავრობა ირწმუნება, რომ ამ ღონისძიებას არავითარი პოლიტიკური ხასიათი არა აქვს გამოწვეული მხოლოდ ... საზრებით.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია. გოლუ[ხოვ]სკი წინააღმდეგობას აცხადებს იმ საყ... ურის წინააღმდეგ; ვითომ მან დაარღვ[ია ნეი]ტრალიტეტი სამხრეთ-აფრიკის ომის [დრო]ხებ. რადგან ინგლისმა არა ერთხელ [გ]აცხადა, რომ არავის შუამავლობას არ ... ღებს და არ მოიწვევს მედიატორეთა... მართლოს, ჩვენი ჩარევა საქმეში უშ... წლოს ნაყვა იქნებოდა. ავსტრიას საე... ლი არა აქვს რაიმე მტრული მოი... დოს ინგლისის წინააღმდეგ; მას ჰსურ... გლისთან მეგობრულ განწყობილებაში ... ყვეს. ერთის დეპუტატის დაკითხვაზედ, თუ არა განზრახვა ავსტრიას შემოი... ბოსნია და ჰერცოგოვინა, გოლუხ... უპასუხა, ჯერ-ჯერობით ავსტრია კმაყო... ია ამ ქვეყნების მფლობელობით და ... ასრულებს ბერლინის ტრაქტატს.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციამ მიიღ... ბიუჯეტი გარეშე საქმეთა სამინისტრო...

**ვენა.** ფინანსთა მინისტრმა გამოა[ცხადა], რომ გამოიცემა 4% სახელმწიფო ... 125 მილიონ კრონისა; კურსი 94%.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პა[ლატაში] ბროდრიკი უპასუხებს კითხვაზე, რომ ... ჩენერს არ მიუღია მიწერილობა, რ[ომლით]საც დაეშალა ბურების წინადადების ... ბა; ის მოვალეა ყველა წინადადებებ... ყოვნებლივ აცნობოს ხოლმე მთავრ... კიტჩენერმა და მთავრობამ არ მოის... დამოუკიდებლობის შესახებ კითხვის ... ხილვა. ლაბუშერი ჰკითხულობს: მია... თუ არა მთავრობა ბურებს ისეთსავე ... უკიდებლობას, როგორიცა აქვთ კა[ნადას] და ავსტრალიას? ჩემბერლენი უპას[უხებს]: „ამ ჟამად რაღა კითხი უნდა არა“. ... დეგ ბროდრიკი იტყობინებს პლატ... კიტჩენერი უარ ჰყოფს ხმას, ვითომ ... ფონტენთან ბურებს ორი ტყვე მო...

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემ[ელი] ალ. ჯაბ...

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებ[ით] ... ადლის 1 საათზე, 28 მაისს, მოხდება ... ვაჭრობა 105,000 საჟენიან ბეტონ[ის] ... სადენ მილის გაკეთებისა მილიუტ[ინის] ... ჩაზე არსებულიდან ხითარიოვის ... ნიკოლაევის ქუჩაზე. საქმე ღირს 1... ნეთი.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწ[ილეობის] მიიღოს, შეუძლიან გაეცნოს გამგეო[ბის] სამე განყოფილებაში ყოველ საქ[მის დღეს] 9-დან 3 საათამდე. (6. 3...)

სალდათის ბაზარში იყიდება საუკეთე[სო] ... სების და ბევრათ სხვაზე უფრო ...

გაცხავებული და მშრალი ნახშ[ირი]

წონით ფუთი 40 კ. ვისაც ნე[ბავს] მოგზავნონ თავიანთი ადრესი და ... მიუტანთ ჩვენი ხარჯით. ამასთანავე ... მყიდველთ ნახშირის მომტანს მო... ბარათი.

(6—84—6) დ. ხუ...



ეროვნული ბიბლიოთეკა